


K  $\frac{4.992}{2}$



©. 86039960

# პოლუები

၁၃၀၂၀၆ၦ

1928



# ପରିଷାଳନା

୧୯

## ଜୀବନିକାରୀ ପରିଷାଳନା

ଟ ୫.୯୯୨  
୧/୨

ସୁରାତକାରୀ କ୍ଷେତ୍ରର ଅଧିକାରୀ  
ବ. ପରିଷାଳନା ମିଶନ

ପରିଷାଳନା ମାତ୍ର  
ତାରିଖ 1928 ଅକ୍ଟୋବର 15



୬.୧.

ଗାନ୍ଧୀ ଧୋଲକ୍ଷ୍ମୀଙ୍କ ସାହେଲନ୍ଦିନ  
ପ୍ରୋଫେସରାଟ୍ସକ୍ଯୁଅଲିସ ସ୍କ୍ରାମିଂ,  
ଏ. ଚିର୍ରେତଳୀଙ୍କ ଫ୍ଲେଟ  
ରୋଡ୍ ୩୦୦୦  
ମତାବ୍ଲୋଟ୍  
୨୦୨୨



## მთარგმნელისაგან.

შესრულდება 430 წელიწადი მას შემდეგ, რაც  
 ქრისტეფორე კოლუმბმა ახალი ქვეყანა, ამერიკა, აღმოა-  
 ჩინა. ეს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის საქმე სრუ-  
 ლიად შემთხვევით მოხდა: კოლუმბი იკვლევდა პირდაპირ  
 გხას ინდოეთისაკენ და ამერიკის ნაპირებს მიადგა. ის  
 დარწმუნებული იყო, რომ ინდოეთში მივიდა და ინდოე-  
 თად მიიღო ეს ქვეყანა. ასე ეგონათ სხვებსაც. მხოლოდ  
 კარგა ხნის შემდეგ გაიგეს, რომ ეს სრულიად ახალი, ჯერ  
 უცნობი, ქვეყანა იყო და არა ინდოეთი.

საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, რომ კოლუმბმა  
 ამერიკა აღმოაჩინა 1492 წელსო, არაა სწორი, რაშიაც  
 დარწმუნდება ამ წიგნაյის მკითხველი: მან ამერიკას მია-  
 ღწია მხოლოდ მესამე მგზავრობის დროს, 1498 წ. \*) 1492 წ.  
 კი აღმოაჩინა ანტილის კუნძულები და არა თვით ამე-  
 რიკა.

კიდევ მეტი: მკითხველი დაინახავს, რომ ხუთი საუკუ-  
 ნით ადრე კოლუმბამდე ამერიკა აღმოუჩენიათ ნორმანებს  
 და დიდ ხანს ცდილან მის კოლონიზაციას, მაგრამ უშე-

\*) ზოგიერთი კიდევ ამერიკის აღმოჩენას მიაწერენ კოლუმბის  
 მეოთხე მოგზაურობას, 1502 წელს.

დეგოდ. ამრიგად კოლუმბს ამერიკა აღმოუჩენია მეორედ, რასაკირველია, ნორმანებისაგან დამოუკიდებლად.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ამერიკის აღმოჩენა მციდროდ არის დაკავშირებული კოლუმბის სახელთან, რადგან უშუალოდ მის მიერ აღმოჩენას მოჰყვა ამერიკის დაპყრობა და ევროპიელებით დასახლება.

ამ დღეებში გამოვიდა რუსულ ენაზე ტ. ბრიჯესის წიგნი: „Книга открытий“,\* 1926 წლის ინგლისური გამოცემიდან გადმოუკეთებია და შეუვსის ი. ბარსკოვს. ამ წიგნიდან იმოვილე მე-III, VII და VIII თავები, სადაც ლაპარაკია ნორმანებისა და კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენაზე.

გარდა ამისა უნდა აღვნიშნო, რომ ბრიჯესის ცნობების მიხედვით კოლუმბმა ამერიკას მიაღწია მესამე მგზავრობის დროს, 1498 წელს. რუსულ უურნალებში კი ვკითხულობთ, რომ ეს მოხდა 1497 წელს. ბრიკპაუზის ენციკლოპედიურ ლექსიკონშიაც სწორედ 1497 წელს მიერება ამერიკის აღმოჩენა.

### პ. კანიშვილი.

1928 წ. ტფილისი.

\* ) გამოცემა „Вокруг света“ Ленгр. 1927 г.

## ნორმანები.

სკანდინავიის ბუნება, ნორმანები და მათი დახასიათება. ხალხის წასელა ნორვეგიიდან ახალი ადგილების საძებნელად და ამის მიზეზი. ისლანდის აღმოჩენა კიკინგების შიერ, მისი ბუნება. ისლანდია გახდა გადმისახლებულ ნორვეგიელთა თავშესაფარი. გრენლანდიის აღმოჩენა. ერთ წითელი და მისი დაარსებული ახალშენი. ბიარნი და მისი მოგზაურობა გრენლანდიაში. რა ქვეყნები ნახა ბიარნმა გზაში. ლეიფ ერიკსენი და მისი მოგზაურობა ამერიკაში. როვორი მეზღვაურები იყენენ ნორმანები, როგორ იგნებდენ ზღვაზე გზას და როგორ ატყობდენ დროს. ამერიკის რომელ ადგილას ყოფილან ნორმანები და როგორ შეიძლება ამის გაცება. ვინლანდია. ტორვალდის გამგზავრება ამერიკაში და მისი ბედი. ტორვალდის ძელების პოვნა 1831 წელს. კარლსგანინ და უდიდრიდა. მათი გამგზავრება ვინლანდიაში და უკან, დაბრუნება. მათ მიერ დატოვებული წარწერა. ჭირი ევროპაში 1847 წ., მისი გავრცელება ისლანდიაში, გრენლანდიაში და ვინლანდიაში.

თითქმის მთელი სკანდინავიის ნახევარი კუნძული, რომელიც უჭირავს ნორვეგიას და შვეციას, დაფარულია უნაყოფიერო მთებით, სადაც ისეთი სასტიკი ჰავაა, რომ მიწადმოქმედება მეტისმეტად ძნელია; სკანდინავები ანუ ნორმანები, რაც ნიშნავს ჩრდილოეთის ხალხს, იძულებულნი არიან მიმართონ ზღვას და იქ ეძიონ სარჩო - საბა დ ბელი. ამიტომ უველა ისინი გახდენ გამოცდილ მეთევზებად, უოჩალ მეზღვაურებად ან გაბედულ მეკობრეებად.

ახალი ერის IX საუკუნეში ნორვეგიის მეფემ, გარალდ ხაართაგრმა გამოუცხადა თავის ქვეშევრდომთ, რომ არავის არა აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი მიწა და ყველამ იჯარით უნდა აიღოს ხაზინისაგანო. ამის გამო ბევრმა მიწის-მფლობელმა მიატოვა სამშობლო მხარე, ჩასხდენ ხომალდებში და წავიდენ ზოგნი გებრიიდის კუნძულებზე, ზოგნიც ორკნეის და ფარაონის კუნძულებზე; ერთმა ნაწილმა გასწია სამხრეთით და დაიჭირა ადგილები საფრანგეთში და ინგლისში; სხვებმა გასწიეს ისლანდიისაკენ.

ისლანდია აღმოაჩინა ახალი ერის IX საუკუნის შუა ხანებში ნადოდმა, ვიკინგების \*) ბელადმა და ამის შემდეგ არა ერთხელ მისულან იქ ნორმანები. IX საუკუნის დასასრულს ისლანდიაში ითვლებოდა 50.000-ამდე მცხოვრები, მიუხედავად იმისა, რომ იქ არ არის ხეები, გარდა დაბალი ჯიშის ტირიფისა, რომ ვერც ერთი საპურე მცხნარე იქ დამწიფებას ვერ ასწრებს და თოვლი კი შეიძლება მოვიდეს ზაფხულის რომელ თვეშიაც გნებავთ. ხალხის მეურნეობის დასაყრდენი იყო მეცხვარეობა და მეთევზეობა, რომელსაც ზოგჯერ აფერხებდა ყინულის მცურავი მთები. ამას ზედ ემატებოდა კიდევ მეორე მიზეზი ძუდმივი შიშისა, ეს იყო ისლანდიის ვულკანები, რომელნიც უხარმახარ სივრცეებს ფარავდენ ამოხეთქილი ლავით. მაგრამ გადმოსახლებულები აქ თავისუფლად გრძნობდენ თავს და ეს მათთვის ყველაზე უძვირფასესი იყო. ისლანდია

\*) ვიკინგები — ზღვის ვაჭრები და მეკობრენი.

შეიქნა თავშესაფარი და სამშობლო ენერგიულ და გაბე-  
ღულ მეზღვაურთა და აღმომჩენთა.

პირველად მათ აღმოაჩინეს გრენლანდია, რომელიც ერთ  
ადგილას დაშორებულია ისლანდიისაგან სულ 50 მილით.

პირველი, რომელიც გრენლანდიაში დასახლდა, იყო ერიკ  
წითელი. ის ნორვეგიდან გადასახლეს მკვლელობისათვის.  
უნდოდა ისლანდიაში წასულიყო, მაგრამ იქ არ მიიღეს და  
გადასახლდა გრენლანდიაში. იქ მან დააარსა ახალშენი,  
რომლის დედა-ქალაქმა, გარდარმა, იარსება დაახლოვე-  
ბით 400 წელი.

ერიკ წითელს ბევრი მეგობრები ჰყავდა. ერთ მათგანს,  
სახელად ხერიულფს, ჰყავდა შვილი ბიარნი, რომელსაც მშვე-  
ნიერი საკუთარი ხომალდი ჰქონდა. როდესაც ბიარნმა გაი-  
გო, რომ მამამისი ერიქს გაჰყვა გრენლანდიაში, გადასწყვი-  
ტა თვითონაც წასულიყო იქ, მაგრამ გზაში ნისლიანი აღ-  
გილი შეხვდა, თანაც ჩრდილოეთის ძლიერმა ქარმა და-  
უბერა, ბიარნის ხამალდი დიდხანს ხეტიალობდა ქარის  
ნებაზე უგზო-უკვლოდ. რამოდენიმე დღის შემდეგ, როცა  
ქარი ჩადგა და გამოიდარა, ბიარნმა დაინახა ხმელეთი,  
მაგრამ ეს არ იყო გრენლანდია. „გრენლანდიაშიო, ეუბნე-  
ბოდა ბიარნი თავის მხლებლებს, თოვლიანი მთებიაო; ეს  
ქვეყანა კი დაფარულია ტყეებითა და პატარა ბორცვები-  
თაო, ამასთანავე ჩვენ გაცილებით უფრო სამხეთით ვი-  
მყოფებითო“, და გასწია ჩრდილოეთისაკენ. ორი დღის  
შემდეგ ისევ ხმელეთი შენიშნეს, მაგრამ ბიარნი ეხლაც  
ძარწმუნებული იყო, რომ ეს არ იყო გრენლანდია, ვინაიდან

აქ უფრო დიდრონი ხეები აღმოჩნდა. განაგრძეს გზა ჩრდილოეთით სამი დღის შემდეგ ისევ ხმელეთი გამოჩნდა, მაგრამ ბიარნი არც აქ გადმოვიდა ნაპირზე და განაგრძობდა გზას სულ ჩრდილოეთისაკენ. კიდევ ოთხი დღე მიაქროლებდა ქარით მათ ხომალდს და როგორც იყო მიაღწიეს გრენლანდიას.

რა ქვეყნები ნახა ბიარნმა გზაში — ამისი დანამდვილებით თქმა არ შეიძლება. ჰუიქრობენ, რომ პირველად მან ნახა ჩრდილოეთ-ამერიკის ერთი შტატი — მენა, ქალაქ ბოსტონის ქვემორე; შემდეგ ჩაუარა ახალ-შოტლანდიის ნაპირებს და მესამე ხმელეთი, რომელიც მათ გზაში შეხვდა, უნდა ყოფილიყო კუნძული ნიუ-ფაუნდლენდი.

არ არსებობს არავითარი ცნობა შესახებ იმისა, რომ ვინმე ევროპიელს ბიარნზე ადრე ენახოს ამერიკის ნაპირები.

რამდენიმე წლის შემდეგ ბიარნი დაბრუნდა ნორვეგიაში და ილაპარაკა, რომ გზაში ნახა ასეთი და ასეთი ქვეყნები. ეს რომ გაიგო ერთი წითელის შვილმა, ლეიფ ერიქსენმა, ისე დაინტერესდა ახალი ქვეყნებით, რომ იყიდა ბიარნისაგან ხომალდი, შეაგროვა რაზმი 35 კაცისაგან და გასწია მათ საძებრად.

ნორმანები კარგი მეზღვაურებიც იყვნენ და საუკეთესო ხომალდების აგებაც იცოდენ. მათი ხომალდები ზოგჯერ ძალიან დიდები იყო და ყოველ შემთხვევაში უფრო კარგად მოწყობილნი საოკეანოდ, ვინემ ის ხომალდები, რომლებითაც თითქმის 500 წლის შემდეგ სარგებლობდა

კოლუმბი. კიდევ მეტი, ნორმანებმა იცოდენ მიმართულების გაეგბა ბისია და ზოგარის საშუალებით და დროს გაეგბა ვარსკლავების მიხედვით.

ლეიფ ერიკსეს, ოგორუც სჩანს, მშეიდობრთ უმოგზავრია: ის გადვიდა ხომალდიდან ხელ ულანდში (ნიუ-ფაუნდლენდი) და მარკლანდში (ახალი ჟოტლანდია), შემდეგ გააგძელა გზა და მივიდა ამერიკაში.

ეს ადგილი ისე მოეწონათ ერიკსენსა და მის მხლებლებს, რომ გადასწყვიტეს ზამთარი იქ გაეტარებიათ; გადაიტანეს ნაპირზე კარვები და ტყავები და გაიკეთეს ბინები. წყლებში აუარებელი თევზები იყო და მინდვრად ისეთი ბალახი, რომ მთელ ზამთარში გამოჰკებავდა საქონელს. მგზავრებმა შენიშვნეს, რომ ყველაზე უფრო მოკლე დღებში მზეამოდიოდა  $6\frac{1}{2}$ , საათზე და ჩადიოდა  $4\frac{1}{2}$ , საათზე. აქედან შეგვიძლია გავიგოთ ამ ადგილის სიგანედი  $41^{\circ} 24' 10''$ , ე. ი. მდინარე ფოლ-რიტერის ნაპირები (მასაჩუზეტის შტატშია). აქ იპოვეს მრავალი გარეული ვაზი და ამიტომ უწოდეს მას ვინლანდია (ლვინის ქვეყანა). ეს მოხდა 1000 წელს.

შემდეგ გაზაფხულზე ლეიფი დაბრუნდიაში. როდესაც გაიგეს მისი ექსპედიციის ამბავი, მცხოვრებთა გაკვირვებას და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ლეიფის მოთხრობამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მის ძმაზე, ტორვალდზე, რომ ლეიფმა უთხრა: „თუ ყოველივე ეს ამდენად გაინტერესებს, წაილე ჩემი ხომალდი, წადი და თვითონ ნახეო“. ტორვალდმა ისარგებლა

ამ წინადადებით და 1002 წელს წავიდა ვინლანდიაში, სადაც ამ ექსპედიციამ დაჲყო არა ნაკლებ სამი წლისა. მაგრამ ტორგალდი აღარ დაბრუნებულა უკან: ახალ მოსულებს თავს დაესხენ წითელ-კანიანები და თუმცა უკუგდებულ იქნენ, მაგრამ მათმა ისარმა ტორგალდი მაინც იმსხვერპლა. 1831 წელს ფოლ-რივერის ახლოს იპოვეს ადამიანის ჩონჩხი ჯავშანში გახვეული. უკველია ეს ჩონჩხი იყო ტორგალდისა, პირველი ევროპიელის, რომელიც ამერიკაში დასახლდა. მისი მხლებლები დაბრუნდენ გრენლანდიაში.

საქმე ამით არ გათავებულა. 1006 წელს ერთი წარჩინებული ნორვეგიელი, ტორფინ კარლსფაინი, მოვიდა გრენლანდიაში და ცოლად შეირთო გუდრიდა, ერიკის მეორე შვილის, ტორსფეინის ქვრივი. გუდრიდა იყო შესანიშნავი დედაკაცი, განთქმული სილამაზით, კუუითა და კეთილშობილებით. მან დაარწმუნა ქმარი წასულიყო და დასახლებულიყო ვინლანდიაში. მეორე წელსვე გაიყოლიეს 151 მამაკაცი და 7 დედაკაცი, თან წაიყვანეს რქიანი საქონელი და ცხვრები და წავიდენ ვინლანდიაში. იცხოვრეს იქ სამი წელი. შემდეგ კი არ მოისვენეს წითელ-კანიანებმა და გამოდევნეს იქიდან. მაგრამ მათ დასტოვეს ვინლანდიაში წარწერა, რომელიც იპოვეს ინგლისის კოლონისტებმა თითქმის 700 წლის შემდეგ. ეს წარწერა იპოვეს მდინარე ტაუნტონის (მასაჩუსეტშია) კლდეზე. იქ ეწერა: „ტორფინმა და 151 ნორმანებმა აიღეს ეს აღგილი სამფლობელოდ.“

ნორმანებმა არა ერთხელ სცადეს გადაექციათ კინ-  
ლანდია თავის ახალშენად. უკანასკნელი ასეთი ცდა ეკუ-  
თვნის 1347 წ. ეს სწორედ ის წელი იყო, როდესაც  
ევროპაში ჭირი მძვინვარებდა და რაღაც გაუგებარი გზით  
გავრცელდა ისლანდიაში, გრენლანდიაში და ვინლანდია-  
ში. იმ დროის საშინელებათა აღწერა შეუძლებელია.  
ნორვეგიაში ორი მილიონი მოსახლეობიდან გადარჩა  
მხოლოდ 400 ათასი. აქ უკვე აღარ მოიპოვებოდა ამერი-  
კაში ან საღმე სხვაგან გადასახლების მსურველი.

## ქრისტეფორე კოლუმბი.

რა ვიცით კოლუმბის ბავშობის შესახებ. კოლუმბი, როგორც მეზღვაური და როგორც მეომარი. რატომ იყვენ იტალიელები პორტუგალიაში. ბართლომე კოლუმბი. ქრ. კოლუმბი ცოლს ირთავს. კომპასის გამოყონება. კოლუმბის მოგზაურობა და აზრი ინდოეთში პირდაპირი გზის გამონახვისა. როგორ უყურებდენ მაშინ ამ საქმეს. კოლუმბი მიმართავს პორტუგალიის მეფეს და გააცნობს თავის პროექტს.

პორტუგალიის მეფის და მისი მზრეველების თალღითობა. კოლუმბის აღშფოთება და ისპანიაში გადასახლება. ძმის გაგზავნა ინ. გლისის მეფესან, შემოხვევა გზაში და მეფის დამოკიდებულება პროექტისადმი. კოლუმბი ისპანიის მეფესან, მისი ეჭვები და დედოფლის გადაწყვეტილება — გაგზავნის კოლუმბი თავის ხარჯით. კოლუმბი დაინიშნა ადმირალად და მეფის მოადგილედ.

ამრიგად ქრისტეფორე კოლუმბი არ იყო პირველი ევროპიელი, რომელმაც მიაღწია ახალი ქვეყნის (ამერიკის) ნაპირებს. შესაძლებელია, მან იცოდა ნორმანების შესახებ, მაგრამ ეს სრულიად არ ამცირებს მის საქმეს.

სამწუხაროდ მეტად მცირე ცნობები დაგვრჩა ამ საკვირველ ადამიანის ბავშობის შესახებ. ჰეთიქრობენ, რომ კოლუმბი დაიბადა 1447 წელს, იტალიის ქალაქ გენუაში. მამამისი, დომენიკო კოლომბო, შეძლებული კაცი იყო და შეიიღო მიაბარა პავიის უნივერსიტეტში. ყმაწვილი იქ კარგად სწავლობდა გეომეტრიას, ასტრონომიას და დიდ

ინტერესს იჩენდა გეოგრაფიისადმი. ზღვა იზიდავდა მჟღა, როგორც ანდამატი და 14 წლის კოლუმბი უკვე მეზღვაური გახდა.


კოლუმბი მეზღვაურიც კარგი იყო და მეომარიც. ის უფროსობდა სამხედრო ხომალდს, რომელიც ტუნისში წავიდა, რომ მავრებისათვის წაერთმია მათ მიერ მოტაცებული ხომალდი. ერთი წლის შემდეგ კი მონაწილეობას ლებულობს საზღვაო ბრძოლაში წმ. ვინცენტის კონცხთან. ამ ბრძოლაში მას დაელუბა ხომალდი და გადარჩა მის ნამსხვავებზე. ზღვის ტალღებმა გამოისროლეს ის პორტუგალიის ნაპირებზე.

იმ დროს პორტუგალიაში ბევრი ენერგიული იტალიელი სცხოვრობდა და ვაჭრობას ეწეოდა აფრიკასთან. მათ შორის იყო კოლუმბის ძმაც, ბართლომე, რომელიც ხატავდა გეოგრაფიის და ზღვის ქარტებს და ამით ირჩენდა თავს. კოლუმბიც დასახლდა პორტუგალიაში და ცოლად შეირთო ვანთქმული მეზღვაურის, პედრო პერესტელოს, ქალიშვილი. მალე პერესტელო დაიქირავა პრინცმა გენრიხმა და დაავალა კუნძულ პუერტო სანტოს კოლონიზაცია.

ამ გარემოებამ კოლუმბი გაათავისუფლა ყოველივე მოვალეობისაგან სიმამრისადმი. აქ, პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში, ის გაეცნო მრავალ განთქმულ ბედის-მაძიებელთ. ამავე ხანებში ვინმე მარტინ ბეხაიმს აზრად მოუვიდა ასტროლაბის გამოყენება გეოგრაფიულ სიგანედის გასაგებად ლით ზღვაზე (კომპასი). კოლუმბმა პირველმა ისაზგებლა ამ აღმოჩენით და აღგენდა ცხრილებს და

წესებს ხომალდის აღგილმდებარეობის გამოსარკვევად გი-  
ოგრაფიული სიგანედისა და სიგრძედის მიხედვით.

ამ წლების განმავლობაში კოლუმბი სულ მოგზაურობ-  
და; ის იყო ისლანდიაში, მწვანე კონკხის კუნძულებზე,  
სიერა-ლეონებში და სხვა აღგილებში. ამ მოგზაურობაში,



ასტროლაბია, კომპასის წინაპარი

ზღვაზე თუ ხმელეთზე, დაახლოებით 1474 წელს, კო-  
ლუმბს პირველად დაებადა აზრი — გამგზავრებულიყო  
ინდოეთისაკენ პირდაპირი გზით და არა ჩვეულებრივი  
გზით აფრიკის ირგვლივ.

ამისათვის საჭირო იყო ბევრი ფული, რომელიც კო-  
ლუმბს, რასაკვირველია, არ გააჩნდა. სად უნდა ეშვენა

მას საჭირო ხომალდი და თანხა, როცა ინდოეთში პირ-დაპირი გზით გამგზავრება ყველას სიგიურედ მიაჩნდა! კოლუმბს შეეძლო თავის განწირვა, მაგრამ რომელი ვაჭარი გასწირავდა ფულებს და ხომალდებს?

კოლუმბმა გადასწყვიტა მიემართა პორტუგალიის მეფისთვის, მოახერხა კიდევ მისი ნახვა, გააცნო თავის პროექტი და უმტკიცებდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა და რა სარგებლობას მოუტანდა ქვეყანას ინდოეთში მიმავალი მოკლე გზის აღმოჩენა.

მეფემ საბჭო შეჰქრიბა და რჩევა ჰქითხა. მრჩეველებმაც ასე ურჩიეს: ჩვენ რაღა კოლუმბზე ნაკლებნი ვართ? თუ კი კოლუმბი მართალია, განა ჩვენ თვითონ ვერ აღმოვაჩენთ ამ გზასაო?

მეფემაც კოლუმბს პასუხი დაუგვიანა და ჩუმად ხომალდი გაგზავნა თანახმად კოლუმბის გეგმებისა. მაგრამ კოლუმბის გეგმის შესრულება ყველას როდი შეეძლო. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ მეფის მიერ ქურდულად გაგზავნილი ხომალდი უკანვე დაბრუნდა უშედეგოდ.

როდესაც კოლუმბმა ყოველივე ეს გაიგო, ისე აღაშფოთა მეფის და მისი მრჩეველების საქციელმა, რომ სრულიად მიატოვა პორტუგალია და გადასახლდა ისპანეთში, რომ აქაც ესინჯა და გაეგო — როგორ შეხედავდა მის პროექტს ისპანიის მთავრობა. ამავე მიზნით გაგზავნა თავისი ძმა ინგლისის მეფე გენრიხ VII-თან.

აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი: ბართლომე კოლუმბი გზაში ხელში ჩაუვარდა მეკობრეებს და ბევრი დრო გავიდა,

სანამ ლონდონს მიაღწევდა. მან ინახულა ინგლისის მეფე, რომელიც ძლიერ დააინტერესა კოლუმბის პროექტმა. ბართლომე გამოეშურა უკან, მაგრამ გვიან იყო: ქრისტეფორე უკვე გამგზავრებული დახვდა. თუ არა ეს შემთხვევა, ვინ იცის, ეგებ ინგლისს აღმოჩინა და არა ისპანიას ევეტინდია და მას ესარგებლა ამ აღმოჩინის დაუფასებელი შედეგებით.

მთლად ვერც ისპანიაში მოაწყო საქმე კოლუმბმა. დიდი ვაივაგლახის შემდეგ მიაღწია მან მეფემდის, მოუსმინეს კიდეც ყოველიავ, მაგრამ არაფერი დაუჯერეს და ისეთი იჭვებით უყურებდენ, რომ კოლუმბს აღარ შეეძლო მოლაპარაკების გაგრძელება და გადასწყვიტა საურანგეთში ეცადა ბედი. წავიდა კიდეც, მაგრამ გზაში კურიერი დაეწია: დედოფალი სთხოვდა დაბრუნდიო.

ისპანიის დედოფალი იზაბელა თავის ქმარზე უფრო ჰქვიანი და შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა. მან კარგად გაითვალისწინა, თუ რა სარგებლობას მოუტანდა ქვეყანას კოლუმბის პროექტის გამართლება და, რომ სხვა სახელმწიფოს არ ესარგებლა ამით, გადასწყვიტა — თავის საკუთარ ხარჯზე მოეწყო კოლუმბის ექსპედიცია.

1492 წლის აპრილის 19-ს მოაწერეს ხელი პირობას, რომლის ძალითაც კოლუმბი დაინიშნა აღმირალად და მეფის მოადგილედ ყველა იმ ქვეყნებში და ზღვებზე, რომელსაც აღმოაჩენდა.



კოლუმბი უჩვენებს დედოფალს ქარტაზე პირ-  
დაპირ გზას ინდოეთისაკენ.

## კოლუმბის პირველი მოგზაურობა.

ექსპედიციის შემადგენლობა და უფროსები. გამგზავრება კანარის კუნძულებისაკენ. აქ სურსათ-სანოვაგის მომარაგება და დასაცლეთი-საკენ გამგზავრება. შეში და მღელევარება კოლუმბის თანამგზავრებ-ში. სარგასის ზღვა ფრინველები მოწმობს ხმელეთის სიახლოვეს. ქარმა პირი იბრუნა. მეზღვაურების მუქარა. კოლუმბის სიმწნევე და უძილობა. კიდევ ხმელეთის ნიშნები. ხმელეთი. ნაპირზე გადასვლა და ახალი ქვეყნის ისპანის სამფლობელოდ გამოცხადება. ადგილობ-რივი მცხოვრებლები. სან-სალვადორი. დანაშაულის შეგნება და პა-ტიების თხოვნა. მგზავრობის გაგრძელება და კუნძული კუბის აღმოჩენა. სადაა ბევრი ოქრო. ისევ გამგზავრება და პინკონის გაქცევა. კუნძული გაიტი. დახრჩობისაგან გადარჩენა. ოქროს სამკაულები გუაკანაგარი. სადაა ბევრი ოქრო? კატასტროფა. გაიტე დასახ-ლება პინკონის შეხვედრა. სამშობლოსაკენ გამგზავრება. ქარიშხალი და პინკონის გაპარვა. გაფისული კასრი. გადარჩენა. ისევ დელვა. სამშობლოში დაბრუნება. პინკონიც დაბრუნდა. კოლუმბის დიდბუ-ნოვანება. როგორ შეხვდენ კოლუმბის დაბრუნებას. კოლუმბი სასახ-ლეში.

ექსპედიციის გამზადება სწარმოებდა პალოსის პორტში. ის შესდგებოდა საში ხომალდისაგან: აღმირალი ს ხომალდი „სანტა მარია“, „პინტა“ — ალონზო პინსონის უკუროსობით და „ნინია“ — იანეს პინსონის უფროსზეთ. ამ პინსონების მესამე ძმა, ფრანჩესკო, მესაჭედ იყო „პინ-ტაზე“.



### ტოსკანელის ქარტა

ტოსკანელი იმ დროის სწავლული იყო. კოლუმბს ხელთ ჰქონდა ტოსკანელის მიერ შედგენილი ქარტა, რომელსაც ჩვენ აქვთავს ებთ. კოლუმბის მიერ განშრახული გზა ისპანიდან ინდოეთამდე აქ აღნიშნულია ისრებით.

პუნქტირით ნაჩვენებია ამერიკა, რომელიც მაშინ უცნობი იყო და არც ტოსკანელის ქარტაზე იყო აღნიშნული.


ციფრებით 1, 2, 3 და 4 აღნიშნულია კუნძულები, რომელიც კოლუმბმა აღმოაჩინა პირველი მგზავრობის დროს.

ამ შემადგენლობით, 1492 წლის აგვისტოს სამს, გა-  
მოვიდა ეს პატარი ექსპედიცია და გასწია პირდაპირ კა-  
ნარის კუნძულებისაკენ. აქ მოიმარავეს ახალი წყალი და  
სურსათი და გაუდგენ გზას დასავლეთისაკენ. ნელი ქარი  
იყო და მხოლოდ ორი დღის შემდეგ აღარ ჩნდა ხმელეთი.

კოლუმბმა მალე იგემა ყველა უსიამოვნება, რომელიც  
არ აშორდებოდა იმ დროინდელ კაპიტენებს. როგორც კი  
ხმელეთი თვალებს მიეფარა, კოლუმბის მეზღვაურებში  
დიდი მღელვარება დაიწყო. ზოგი მათგანი ისე შეშინე-  
ბული იყო, რომ ტირილი მორთეს და კოლუმბი მათ გა-  
მხევებას უნდებოდა.

ენკენისთვის 11-ს შენიშვნეს ზღვაში ხომალდის ანდა,  
15-ს დაინახეს, როგორი შიშინით ჩავარდა წყალში ცეც-  
ხლის ბურთი, მეტეარიტი; შემდეგ ისეთ ადგილს წააშუ-  
დენ ზღვაში, რომელიც დაფარული იყო წყლის მცენარეე-  
ბით. ეს იყო, ეგრედ წოდებული, სარგასის ზღვის ნაწი-  
ლი. სარგასის ზღვა ეწოდება ატლანტიკის ოკეანეს შუა  
ნაწილს, სადაც არც ზღვის მდინარებაა და თითქმის არც  
ქარი იცის. ეს ადგილი მეტისმეტად სახიფათოა. იქი-  
დან გამოსვლა თითქმის შეეძლებელია. კოლუმბის ხომალ-  
დები შემთხვევით გადაჩა ამ ხიდათს, რადგან მაშინ ამ  
„ზღვის სასაულაოს“ არსებობა და ადგილმდებარეობა არა-  
ვინ იცოდა.

მალედაინახეს ზღვის სხვადასხვა ფრინველები და აქე-  
დან დაასკვნეს, რომ ახლოს უნდა ყოფილიყო ხმელეთი.  
სინჯეს სილრმის გაზომვა, მაგრამ არაუერი გამოუვიდათ:



აჯაანყებული მეზღვაურები ემუქრებიან კოლუმბს  
და მოითხოვენ უკან დაბრუნებას.

ბაწარის სიგრძე არ ეყოთ. ენკენისთვის 21-ში ქარმა პირი იბრუნა. გაუხარდათ კოლუმბის მეზღვაურებს: გვეშველა, ქარი უკან წაგვიღებს და სახლში მიგვიყვანსო. ზოგიერთი იმუქრებოდა: კაპიტანი ზღვაში გადავაგდოთ და უკან დავბრუნდეთო. ძნელი წარმოსადგენია, როგორ ახერხებდა კოლუმბი ასეთ პირობებში მეზღვაურების დამორჩილებას. ამ დღიდან მან თითქმის სრულიად დაჰქარგა ძილი და მუდამ შეთქმულობისა და აჯანყების შიშში იყო.

ოქტომბრის პირველს დაინახეს აუარებელი ფრინველები და თევზები, ოთხს კი ერთი ფრინველი ისე მიუახლოვდა ხომალდს, რომ ქვით მოჰკვდეს. თუმცა ფრინველები მათი აზრით ხმელეთის სიახლოების ნიშანი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა მეზღვაურები მაინც ყოველ დღე სულ უფრო და უფრო ღელავდენ და მოსვენებას არ აძლევდენ კოლუმბს. ის მაინც არ ჰქარგავდა მოთმინებას და სულ თავის მშიშარა თანამგზავრებს ამნევებდა.

ოქტომბრის თერთმეტს გამოჩნდა ხმელეთის უფრო გარკვეული ნიშნები: ტალღებმა ხომალდის გვერდით ჩაატარა სრულიად მწვანე შტო და „პინტადან“ დაიკირქს ბამბუქის ღერო და ხის ნაჭერი, რომელსაც ადამიანის მიერ დამუშავება ეტყობოდა. საღამოს კოლუმბმა გამოუცხადა მატროსებს, რომ ხმელეთი ახლოსაა და ხავერდის ტანისამოსი და პენსია დაპირდა, ვინც პირველი დაინახავდა ხმელეთს.

დაახლოვებით საღამოს ათ საათზე კოლუმბმა სინათლე შენიშნა და სხვებსაც დაანახა, მაგრამ არაფერი სთქვეს,


რომ მატროსებს თვითონ დაენახათ და საჩუქარი მიეღოთ. ნაშუალამევის ორ საათზე წინ მომავალმა „პინტამ“ სიგნალით აცნობა ყველას, ხმელეთი ვამოჩნდათ და ამრიგად 35 დღის მგზავრობის შემდეგ აღმოჩენილ იქნა ახალი ქვეყანა.

ადგილი წარმოსადგენია, რა მოუთმენლად მოელოდენ გათენებას კოლუმბი და მისი თანამგზავრები. როცა მზე ამოვიდა, გამოჩნდა მშენებელი ამშვანებული ნაპირები.

კოლუმბი დიდი საზეიმო წესით მოადგა ნაპირებს და გადმოვიდენ ხომალდებიდან; წინ მიჰქონდათ ისპანიის დროშა. ნაპირზე დაასვეს ჯვარი და ახალ აღმოჩენილი ქვეყანა გამოაცხადეს ისპანიის მეფის სამფლობელოდ, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილი და კანონიერი მცხოვრებლები იქვე იდგენ ჯგუფად და გაკვირვებული უყურებდენ წვერებიან უცხოელებს და ყოველივეს, რაც მათ თვალ-წინ ხდებოდა\*).

კუნძულს უწოდეს სან-სალვადორი და ეს სახელწოდება დღემდის შერჩა მას. ეს იყო (ანტილის) ბაგამის ერთი კუნძულთაგანი (გუანაგანი); მთელი ეს დიდი ჯგუფი

\*) ინდოეთში მიმავალი კოლუმბი დარწმუნებული იყო, რომ ინდოეთში მივიდა, ადგილობრივი მცხოვრებლებიც ინდოელები ეყონა. ეს შემცდარი სახელწოდება დღემდინაც შერჩათ ამ ხალხს და ნამდვილ ინდოელებისაგან გასარჩევად წითელ კანიან ინდოელებს ვეძახით. ნამდვილი ინდოელები კი, რასაკვირველია, ინდოეთში სცხოვრობენ და მოშავო კანი აქვთ.



კოლუმბი ზეიმით და დროშით მიღიოდა კუნძულზე. განცეიფრებული ველურები შიშით უაბლოვდებიან საკვირველ ხალხს.

კუნძულებისა დიდ ხანს ეკუთვნოდა ისპანიას, მაგრამ ეხლა  
ინგლისის ხელშია.

კოლუმბის მეზღვაურებმა შეიგნეს თავის დანაშაული  
წინამძღვლის წინაშე, შეგროვდენ მასან, ბოდიში მოიხა-  
დეს და პატიება სთხოვდეს.

ზოგიერთს ადგილობრივ მცხოვრებთაგან ოქროს სამ-  
კაულები ჰქონდათ და, როცა შეეკითხენ — სად იშოვება  
ასეთი ლითონით, — სამხრეთისაკენ გაიშვირეს ხელები.  
კოლუმბი დაუყანებლივ გაუდგა გზას ნაჩვენები მიმართუ-  
ლებით, გასცილდა ბევრ წვრილ კუნძულებს და ბოლოს  
მიადგა ერთ დიდ კუნძულს, კუბას, რომელიც მას იაპო-  
ნია (ზიპანგუ) ეგონა და გაგზავნა ელჩები, რომ გაეგოთ  
რამე ჩინეთის დიდი ყეინის შესახებ. ადგილობრივი მცხოვ-  
რებნი ძლიერ შეაშინა უცხო მხვერავების გამოჩენამ.  
ძნელი იყო მათგან ცნობების მიღება, მაგრამ ის მაინც  
გაიგეს, რომ სადღაც სხვა კუნძულზე ბევრი ოქრო იყო.

კოლუმბი ისევ გაუდგა გზას. კველაზე სწრაფი ხო-  
მალდი „პინტა“ ძლიერ დაწინაურდა და მალე მიეფარა თვა-  
ლებს. შურიანი და ხარბი პინცონი გაექცა კოლუმბს, რომ  
თვითონ აღმოეჩინა ბევრი ოქრო და გამდიდრებულიყო.

დანარჩენი ორი ხომალდით კოლუმბი მალე მიადგა  
ერთ ძალიან დიდ კუნძულს, რომელსაც მცხოვრებლების  
ენაზე გაიტი ეწოდება. კულუმბმა მას ისპანიოლა (პატარა  
ისპანია) დაარქვა. ეს სახელწოდებაც შემდეგში შეიცვალა  
სან-დომინგოთი. გაიტის მცხოვრებლებიც მეტად მშიშა-  
რები აღმოჩნდნენ, რისგამოც მათთან ურთიერთობის

დაჭრა ერთობ გაძნელდა. მაგრამ ერთმა შემთხვევამ საქმე გამოაკეთა. ერთ ველურს ნავი გადაუბრუნდა და იხრჩობოდა. ისპანელებმა გადარჩინეს. კოლუმბის განკარგულებით ეს ველური კარგათ გამოაძლეს და ისევ ნაპირზე გადასვეს. მანაც ყველაფერი უამბო თავისიანებს, რომ უცხოელები კარგი ხალხია და არავის არაფერს დაუშავებენ. ეს საკმარისი იყო, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ასობით შეგროვილიყვნენ ნაპირზე და მოეტანათ ბანანი და სხვა ხილი. ისპანელები კი უფრო იმან დააინტერესა, რომ ველურებს აღმოაჩნდათ ძალიან ბევრი ოქროს სამკაულები. კოლუმბი თვითონ გადმოვიდა ნაპირზე და ინახულა ადგილობრივი მეფე თუ თავადი გვაქანაგარი. კოლუმბის კითხვაზე, თუ საიდან შემოაქვთ ოქრო, გვაკანაგარიმ უპასუხა, რომ ის შემოაქვთ ციბაოდან, რომელიც იმყოფება აღმოსავლეთითო.

კოლუმბი დაუყონებლივ გაუდგა გზას, რომ აღმოეჩინა როგორმე ოქროს მაღნები, მაგრამ მოულოდნელმა კატასტროფამ განხრახვა ჩაუფუშა. კოლუმბის ხომალდი „სანტა მარია“ ზღვაში გასვლისას წყალქვეშა ქვებს დაატაკა ქარმა და დაამსხვრია. კოლუმბი და მისი მხლებლები ძლივს გადარჩენ ნავებით და გადასხდენ პატარა „ნინიაზე“. დიდი დახმარება გაუშია გვაკანაგარიმ და მისმა ხალხმა.

რაღა უნდა ექნა კოლუმბს? პატარა „ნინიაზე“ დროებით თავის შეფარება შეიძლებოდა, მაგრამ დაღუპულ „სანტა-მარიას“ ყველა მგზავრების მასზე მგზავრობა ყოვლად

შეუძლებელი იყო. მესამე ხომალდი „პინტა“ კი გაიტაცა მოლალატე პინცონმა და კოლუმბთან არ იყო. ისევ მიმართა თხოვნით გვაკანაგარს, რომ ნება მიეცა მათ-თვის კუნძულზე დასახლებისა. გვაკანაგარი დასთანხმდა. ხომალდის ნამსხვრევებიდან ააშენეს სიმაგრე და კოლუმ-ბმა აქ დასტოვა 38 წაცი. 1493 წლის იანვრის ოთხს ის ისევ გაუდგა გზას, რომ დაემთავრებია ამ კუნძულის ჩრდი-ლოეთ ნაწილის გამოკვლევა და აქ წააწყდა პინცონს თა-ვისი „პინტათი“. თუმცა კოლუმბმა კარგად იცოდა პინ-ცონის გაქცევის მიზეზი, მაგრამ ისიც ესმოდა, რომ ეხლა ჩხუბის და უთანხმოების დრო აღარ იყო. ამიტომ ის დაქმაყოვილდა პინცონის ბოლიშით და იანვრის 16-ს ორივე ხომალდით გაუდგენ გზას შინისაკენ. გაემარ-თენ პირდაპირ აზორის კუნძულებისაკენ და როცა მიუახ-ლოვდენ ამ ადგილს, ამოვარდა ქარი, დაიწყო ლელვა და უსინდისო პინცონმა აქაც ულალატა კოლუმბს: მიატოვა ის პატარა „ნინიას“ ამარა საშინელ ლელვაში და თვი-თონ გაუდგა გზას სამშობლოსაკენ. მისი ზრახვები აშეა-რაა: ნინია უეცველად დაიღუპებოდა ლელვაში, პინცონი კი მიითვისებდა კოლუმბის აღმოჩენებს და აღვილად და-ამტკიცებდა, რომ დიდმა ქარიშხალმა და ლელვამ ისინი დააშორა ერთმანეთს და კოლუმბის გადარჩენა შეუძლებელი გახდა. აქ დაუჯერებელი არაფერი იქნებოდა: ზლვაზე რა არ ხდება ხოლმე?

პატარა „ნინიას“ ნაფოტივით ისვრიდა ტალღები და გულგაუტეხელმა კოლუმბმაც კი ყოველგვარი იმედი დაპ-

კარგა გადარჩენისა. მას ძლიერ აწუხებდა ის გარემობა, რომ მისი აღმოჩენის ამბავი ვერ მიაღწევდა ევროპამდი, ამდენი მსხვერპლი ტყვილად უნდა დაკარგულიყო. (აშეა-რა „პინტა“ და პინცონი მას დალუპული ეგონა ლელვის დროს), კოლუმბმა მიმართა ერთად-ერთ საშუალებას, რომელიც კი მას გააჩნდა: დასწერა ეტრატზე მისი მოგზაურობის აპმავი, ჩასდო გაფისულ კასრში და გადისროლა ზლვაში: ვინ იცის, ეგებ როდისმე სადმე ნაპირზე გამოაგდოს ლელვამ, ვინმემ იპოვნოს და წაიკითხოს. მაგრამ საბედნიეროდ ქარი ისევ ჩადგა, ლელვა დაწყნარდა და თებერვლის 16-ს „ნინია“ უკვე აზორის კუნძულებზე იყო.

მაგრამ დაბრკოლებებს და წვალებას კიდევ არ მოელო ბოლო: ისევ ლელვა დაიწყო და „ნინიას“ იქით-აქეთ დააჭანებდა ტალღები. როგორც იქნა, მარტის 15-ს კოლუმბმა მიაღწია პალოს, რომელიც მან დასტოვა  $7\frac{1}{2}$  თვის წინად. ორი დღის შემდეგ დაბრუნდა პინცონიც და, როცა კოლუმბის ამბავი გაიგო, შიშის ზარმა აიტანა — დარწმუნებული იყო, ეხლა ბოდიში აღარ უშველიდა, თავს ვეღარ იმართლებდა. კოლუმბი და მეუე სასტიკად დასჯიდენ გაჭივრების დროს ლალატისა და მიტოვებისათვის.


მაგრამ არაფერი ამის მგზავსი არ მოხდა. კოლუმბი იმდენად გახარებული იყო, როცა „პინტა“ და მისი მგზავრები გადარჩენილი დაინახა, რომ ამ დიდ - ბუნებოვან ადამიანს არავის დასჯა აზრადაც არ მოსვლია საერთო სიხარულის დროს და ყველას, თვით პინცონსაც, დაურიგა

ხეედრი ჯამაგირი. მაგრამ ბოროტი საქმე კაცს არ შერჩებაო, ნათქვამია: ჯავრისაგან, რომ მიზანს ვერ მიაღწია და სინდისის ქეჯნისაგან, რომ ასე უსინდისოდ ლალატობდა კოლუმბს, პინკონი ცუდად გახდა და ერთი კვირა ძლივს იცოცხლა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

კოლუმბის დაბრუნებას დიდი ზეიმითა და ოლტაცებით შეხვდენ. უთვალავი ხალხი შეიკრიბა იმ ადამიანის დასანახავად, რომელმაც ახალი ქვეყანა აღმოაჩინა. კოლუმბი დიდის ამბით მიაცილეს მეფის სასახლემდი.

მეფე ფერდინანდი და დედოფალი იზაბელა ტახტზე ისხდნენ და ისე მიიღეს კოლუმბი. მან მუხლი მოიდრიკა მათ წინაშე, მაგრამ მეფემ თავისი ხელით აპენა კოლუმბი და გვერდით მოისვა, სანამ ის თავის მოგზაურობის საკვირველ ამბებს უკვებოდა. მეფემ უბოძა კოლუმბს ჟველა დაპირებული ჯილდო და დანიშნა „ინდოეთის“ ადმირალად.

გაიცა ბრძანება, შესდგომოდენ ახალი ექსპედიციის მზადებას.




მეფე-დედოფალმა დიდი პატივით მიიღეს გამარჯვებული კოლუმბი, მაგრამ, როგორც ქვევით გავიგებთ, თავის დაპირება არ შეუსრულეს და ეს დიდებული და უშიშარი მოგზაური სიღარიბეში მოკედა.

## კოლუმბის ხეორე მოგზაურობა.

მეორე ექსპედიციის შემადგენლობა. გამგზავრება და დომინიკის აღმოჩენა, კარაიბები. მათი თავდასხმა, ზვადელუპაზე. კვლავ იზაბე-ლაზე. კოლონისტების თავგადასავალი. ახალი კოლონიის დაარსება და ქალაქი იზაბელა. კოლუმბის შეცდომა. ისევ ოქროს ქვეყნის საძიებლად წასელა. კუნძულ იამიაკას აღმოჩენა. კოლუმბის ავადმყოფიბა და უკან დაბრუნება. ძმის ნახვა და განკურნება. უკმაყოფილება და ორი ხომალდის ისპანიაში გაქცევა. დასმენა სასახლეში. გამოძიება და კოლუმბის უკან დაბრუნება. სან-დომინგოს დაარსება. კოლუმბმა დაარწმუნა მეფე და შეუდგა ახალი ექსპედიციის მშადებას.

ჩვენ ვიცით, რა ძნელი იყო კოლუმბისათვის და როგორ გაუჭირდა მას პირველი ექსპედიციის მოწყობა, ამისათვის საჭირო ხომალდებისა და ფულის შოვნა. მაგრამ პირველი მგზავრობის ასე ბრწყინვალედ გამარჯვებამ სრულიად შესკვალა საჭმის ვითარება. გაჩნდა ფულიც, ხომალდებიც და ხალხიც. თუ პირველ ექსპედიციისათვის კოლუმბმა ძლივს შეაგროვა დიდი ქრთამითა და დაპირებებით 120 მატროსი, ეხლა, მეორე ექსპედიცია წარმოადგენდა მთელ ფლოტს 17 ხომალდისაგან 1500-მდე მეზღვაურებით და მოხალისეებით. თან მიჰყავდათ და მიჰქონდათ შინაური ცხოველები და ფრინველები, მცენარეები და თესლები ახალი კოლონიისათვის.



1493 წლის სექტემბრის 25-ს, გათენებისას ფლოტი დაიძრა კადიქსიდან. მგზავრობა ჩინებულად მიღიოდა და ნოემბრის ორს აღმოაჩინეს ახალი კუნძული — დომინიკი, მცირე ანტილის ერთი კუნძულთაგანი, (სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ ნაპირების ახლოს მდებარეობს). იმ დროს ეს კუნძულები დასახლებული იყო მეომრობით განთქმული კარაიბებით, რომელთა შესახებ მას ცოტა რამ გავონილი ჰქონდა კუნძულ ისპანიოლაზე. სიტყვა „კარაიბი“ წარმოსდგება „კანიბალის“, ე. ი. კაცის მჭამელთა ძირისაგან. კარაიბების ნაშთი ეხლაც არის სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში და ზოგი მათგანი ეხლაც ითვლება კაცის მჭამლებად.

სანამ კოლუმბის ფლოტი მიღიოდა ანტილის კუნძულების გასწვრივ, თავს დაესხნენ კარაიბები თავიანთ ნავებით (პიროვებით) და საშინლად იბრძოდენ როგორც კაცები, ისე ქალები. რასაკვირველია ველურები ვერაფერს დაკლებდენ ევროპიელების ფლოტს.

ამ კუნძულებიდან ყველაზე უდიდესია გვადელუპა, რომელიც ეხლა საფრანგეთს ეკუთვნის და რომელზედაც ისპანიელებმა პირველად იხილეს ანანასი. აქვე ნახეს გულშემზარავი სურათი — როგორ სწვავდენ შესაჭმელად აღამიანის ხელებსა და ფეხეს.

კოლუმბმა დასტოვა ეს საზიზლარი კუნძული და გასწია ჩრდილოეთისაკენ. ნოემბრის 22-ს მიაღწიეს ისპანიოლას. მაგრამ იმ 38 კაცისაგან, რომელიც კოლუმბმა დასტოვა აქ „სანტა-მარიას“ დაღუპვის შემდეგ, არავინ ცოცხალი აღარ დახვდა. თვით სიმაგრისაგანაც მხოლოდ

ნაცარი იყო დარჩენილი. ყოველივე ამის მიზეზი თვითმხდარისპანები გამხდარიყვენ: რადგანაც კი კოლუმბი მოშორდათ, თავი აუშვიათ და ისე უდიერად ექცეოდენ თურმე ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომ ამათაც თავდაცვისათვის აღარა დარჩენოდათ, თუ არა სრული მოსპობა კოლონისტებისა. კოლუმბმა დასტოვა ეს ადგილი და დასასახლებლად აირჩია მოხერხებული ნაპირი ციბაოს მთის მახლობლად. ციბაოში ოქროს მაღნებს მოელოდენ. აქ დაარსა ქალაქი, დაარქვა მას იზაბელა, ააგო იქ ქვის ეკლესია და დასტოვა ნაწილი თავის ხალხისა. ამ ახალ კოლონიაზე ყოველგვარი ზრუნვა კოლუმბმა მიანდო თავის, ძმას დეიგოს და თვითონ კი 1494 წლის აპრილის 24-ს სამი პატარა ხომალდით გაუდგა გზას.

კოლუმბი დარწმუნებული იყო, რომ მის მიერ აღმოჩენილი კუნძულები იყო აზიის ნაპირებთან. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამერიკის მცხოვრებლებს ინდოელები ეწოდათ და დღემდის შერჩათ ეს სახელი.

დარჩენილია თვითონ კოლუმბის მიერ შედგენილი და ყველა მონაწილეთაგან ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელშიაც გამოთქმულია მტკიცედ, რომ კუნძული კუბა არის ინდოეთის ნაწილი კონტინენტი.

თავის სამი ხომალდით კოლუმბმა შემოუარა კუბის აღმოსავლეთ ნაწილს, შემდეგ პირი იბრუნა და გაჰყვა სამხრეთ ნაპირებს. მცხოვრებლები სტუმართ-მოყვარე ხალხი აღმოჩნდა. ისპანელები მუდამ და ყველას ერთს ეკითხებოდენ: საითაა ოქროს ქვეყანა, რაზედაც ველურები

ყველგან ერთნაირ პასუხს აძლევდენ: ეს ძვირფასი ლითონუ-  
ნი მოდიოდა სამხრეთიდან. ამიტომ კოლუმბმა გასწია სამ-  
ხრეთით და მაისის სამს იღმოაჩინა კუნძული იამაკია. მაგ-  
რამ იქაც ვერ იპოვნა ოქროს მაღანი და ისევ კუბაზე  
დაბრუნდა. გასცურა დიდი მანძილი და ამ კუნძულს ბო-  
ლო ვერ უნახა, რამაც სავსებით დაარწმუნა კოლუმბი,  
რომ ის იყო აზიის ნაპირებთან. ცოტა რომ კიდევ გაწეუ-  
ლიყო, მიაღწევდა კუნძულის დასავლეთ ნაპირს და დაი-  
ნახავდა თავის შეცდომას; მაგრამ ამინდი ძალიან ცუდი  
იყო, ხომალდებში წყალი შედიოდა და თვითონაც ისე  
ავად იყო კოლუმბი, რომ უგრძნობლად იწვა. ამიტომ  
მისმა მეზღვაურებმა იფიქრეს კოლუმბი კვდებაო და უკანვე  
დაბრუნდენ იზაბელაში. კოლუმბის აქ არ ყოფნაში, იზაბელა-  
ში მოსულიყო მისი ძმა, ბართლომე, რომელიც ლონიერი კა-  
ცი და განთქმული მეზღვაური იყო. ძმის ნახვამ ისე კარგად  
იმოქმედა ავადმყოფზე რომ მალე სრულიად განიკურნა.

ამასობაში მზადდებოდა ახალი არეულობა. ისპანიიდან  
კოლუმბს ბევრი ისეთები გამოჰყვა, რომელნიც უბრალო  
ბედის მაძიებელნი იყვნენ, უნდოდათ ყველაფერი მიელოთ  
და არაფერი გაეცათ თავის მხრით. ახალი კოლონიის  
დაარსება აღვილი საქმე როდია. როდესაც ამ ვაჟბატო-  
ნებმა დაინახეს — რა ძნელი იყო არსებობისათვის ბრძო-  
ლა, — შეუტიეს კოლუმბს, ყველაფერს მას აბრალებდენ და  
მოითხოვდენ უკან დაბრუნებას. საქმე იქამდის მივიდა,  
რომ ზოგიერთებმა გაიტაცეს ორი ხომალდი და ისპანიაში  
დაბრუნდენ. მათ მეთაურობდა ერთი ურანცისკანელი ბერი,

რომელიც, ეტყუბა, კოლუმბს ემტერებოდა და სამშობლოში დაბრუნებისთანავე სასახლეში დაასმინა ის.

მეფემ კომისარი გაგზავნა კოლონიაში საქმის გამოსაძიებლად. ეს კომისარი, ვინმე აგუადო, შეურიგებელი მტერი იყო კოლუმბისა და ამ უკანასკნელმა თან გაჰყვა ისპანიაში აგუადოს, იცოდა რა, რომ ის კარგს არაფერს იტყოდა იქ მის შესახებ. გამგზავრებამდი კოლუმბმა დაავალა თავის ძმას, ბაროთლომეს, დაეარსებია ისპანიოლაზე მეორე ქალაქიც. 1496 წ. ბაროთლომემ გამონახა შესაფერი აღვილი და დაარსა ქალაქი, რომელსაც შემდეგში ეწოდა სან-ლომინგო.

დაბრუნდა თუ არა ისპანიაში კოლუმბმა მოახსენა მეფეს ყველა იმ სიძნელეთა შესახებ, რაც თან სდევდა ახალი კოლონიის დაარსებას დააჯერა კიდეც ამაში. ისპანიოლაზე გაიგზავნა ახალი პარტია ხალხისა და სურსათ-სანოვაგის. კოლუმბი კი შეუდგა შესამე ექსპედიციის მომზადებას.

## მესამე და მეოთხე გზავარობა.

მესამე ექსპედიციის გამგზავრება. ზღვის მდინარება, ორინოკოს შესართავი და სამხრეთ-ამერიკის ნაპირები. მხედოვრებლებთან დაახლოება. ისპანიოლაში დაბრუნება და აქ არსებული არეულობის დაწყნარება. საჩივრები კოლუმბზე. ახალი უფროსის გაფზავნა. კოლუმბის დატყვევება და ისპანიაში გაგზავნა. ხალხის აღშეოთხება და კოლუმბის განთავისუფლება. ვასკო დე-გამას დაბრუნება პორტუგალიაში. ხმები ინდოეთის სიმდიდრის შესახებ. კოლუმბის ახალი პროექტი და გამგზავრება. გასაჭირი გზაში: დელგა, ამბოხება, სიმშილობა, ავადმყოფობა. უკან დაბრუნება. მეფემ არ დააფასა კოლუმბი და არ დაუბრუნა დაპირებული თანამდებობა. კოლუმბის გარდაცვალება და მისი ნეშტის მოგზაურობა. რისთვის დაერქვა ახალ ვეჟ ნა აჟე რიკა.

1498 წლის მაისის 30-ს ექვსი ხომალდით კოლუმბი მესამედ გაემგზავრა ახალი ქვეყნებისაკენ. ეხლა მან უფრო სამხრეთით დაიჭირა გეზი და ისეთ ცხელ ჰავაში მოჰყვა, რომ იძულებული გახდა პირი ებრუნებია სამხრეთ-დასავლეთისაკენ. 31 ივნისს ჰორიზონტზე გამოჩნდა ტრინიდატის კუნძულები. აქ ის წააწყდა სწრაფ მდინარებას ჩრდილოეთისაკენ და მიხედა, რომ უახლოვდებოდა რომელაც დიდი მდინარის შესართავს. მართლადაც ეს იყო ჭმდინარე ორინოკო, რომელსაც მეორე ადგილი უჭირავს სიღიდით სამხრეთ ამერიკაში. წყალდიდობის

დროს მისი განი 100 მილს აღწევს. დიდი გაჭირვებით ხომალდებმა გაიარა ვიშრო სრუტე ტრინიდადის კუნძულსა და ხმელეთს შუა და მიაღწია სამხრეთ ამერიკის ნაპირებს. მცხოვრებლები აქაც მშიშარნი აღმოჩნდენ, მაგრამ ისპანელები გამოცდილი იყვნენ: დაიჭირეს ორი ადგილობრივი მცხოვრებნი და ბევრი საჩუქრებით უკანვე გაისტუმრეს. ასეთი ხერხით კოლუმბი დაუმეგობრდა ამ ხალხს და მიიღო მათგან აუარებელი მარგალიტები. მაგრამ კოლუმბმა ეხლაც არ იცოდა, რომ აღმოაჩინა ახალი კონტინენტი.

მან დასტოვა ორინოკო და დაბრუნდა ისპანიოლაში, სადაც დიდი არეულობა დახვდა. გაჩაღებული იყო მტრობა, ამბოხება და ომი. დიდის გაჭირვებით კოლუმბმა დააწყნარა მეამბოხენი და თუმცა გარეგნულად მშვიდობიანობა დამყარდა. მაგრამ რამდენი ხომალდი დაბრუნდებოდა ისპანიაში, სულ ახალ-ახალი საჩივარი მოჰქონდა კოლუმბზე. მისმა ასეთმა წარმატებამ და სახელმა ბევრი მტერი გაუჩინა სასახლეში, რომლებმაც დაარწმუნეს მეფე, რომ ისპანიოლა დალუპვის პირზეა. მეფემ ახალი უფროსი გავზავნა ისპანიოლაში კოლუმბის მაგიერ, ვინმე ფრანცისკო ბობადილი, კაცი უხასიათო და უკმეხი. ეს ადამიანი თავის დანიშნულებას თითქოს იმაში ხედავდა, რომ ყველგან და ყველასათვის უსიამოენება მიეყენებია. მივიდა თუ არა ისპანიოლაში მან მაშინვე დაატყვევა კოლუმბი თავისი ძმებით და ბორკილებით გაისტუმრა ისპანიაში. როცა გაიგეს, რომ განთქმული მოგზაური კოლუმბი, რომელმაც

ამდენი სიკეთე უყო თავის სამშობლოს, დატუკვევებული იყო, ხალხის აღმფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. დედოფალიც მუდამ კოლუმბს ესარჩილებოდა. მეფე იძულებული შეიქნა დაეთმო და კოლუმბი გაათავისუფლეს ძმებითურთ. ბობადილია უკანვე გამოიძახეს, მაგრამ კოლუმბს მაინც არ დაუბრუნა მეფემ უწინდელი თანამდებობა და ბობადილიას მოადგილედ გაგზავნა ნიკოლო ოვანდო.

შემდეგ კოლუმბმა ითხოვა გაეგზავნათ ახალი ექსპედიცია მისი ხელმძღვანელობით, მაგრამ ესეც უყურადღებოდ იქნა დატუკვებული. მაგრამ მას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ. ამ ხანებში ლისაბონში (პორტუგალია) დაბრუნდა დიდი მოგზაურობის შემდეგ განთქმული ვასკო დე-გამა. მან ისეთი ამბები მოიტანა ინდოეთის გაუგონარი სიმდიდრის შესახებ, რომ მთელ ევროპაში დიდი მღელვარება გამოიწვია. კოლუმბმა წამოაყენა წინადადება რომ ის უფრო მოკლე გზით წაიყვანს ინდოეთში ფლოტს. ეხლა უკვე კოლუმბს ალარ სჯეროდა, რომ კუბა აზისის ნაწილი იყო, მაგრამ ჰეთიქზობდა, რომ სადმე დარიენის ყურის მიმართულებით (პანამის ყელთან) უნდა ყოფილიყო სრუტე, პირდაპირ ინდოეთის ოკეანეში გასავალი.

ისპანიას არ სურდა პორტუგალიას ჩამორჩინოდა და მისცეს კოლუმბს რაც საჭირო იყო მისი ახალი პროექტის განსახორციელებლად. 1502 წლის მაისის ცხრას სახელოვანი მოგზაური გაუდგა გზას ოთხი საბაზო ხომალდით. ეს იყო მისი მეოთხე და უკანასკნელი მოგზაურობა. ივნისის 15 მან მიაღწია კუნძულ მარტინიკას. თუმცა მეფემ

და დედოფალმა გააფრთხილეს კოლუმბი და უთხრეს, არ გაევლო გზად თავის კოლონიაში ისპანიოლაზე, მაგრამ ერთი ხომალდი ისეთი ცუდი გამოდგა, რომ კოლუმბმა გადასწყვიტა შეევლო იზაბელაში და გადაეცვალა იქ უფრო მავალ ხიმალდზე. მაგრამ როცა კოლუმბი იზაბელას მიადგა, ოვანდომ ნება არ მისცა ნაპირზე გადმოსულიყო.

რაღა უნდა ექნა კოლუმბს, გაუდგა ისევ გზას და მალე მიადგა პანამის ყელის კონკრეტურასს. აქ მან პირველად იხილა მაიმუნი.

კონდურასის ბცხოვრებ ველურებისაგან კოლუმბმა გაიგო, რომ დასავლეთით არის უზარმაზარი იმპერია მალალი კულტურით და მეტად მდიდარი. რასაკვირველია აქ მექსიკაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ კოლუმბის მიზანი იყო ინდოეთში პირდაპირი გასავალის პოვნა და ამიტომ სულ დარიენის ყურესაკენ ეჭირა გზა.

გახშირდა ქარიშხალი და ლელვა. ადგილობრივი ბცხოვრებლებიც არსად არ იკარებდენ უცხოელებს, არ უშვებდენ ნაპირზე და ზოგიერთები კიდევაც მოუკლეს კოლუმბს. სამივე ხ-მალდი იმდენად დაზიანდა, რომ წყალს ველარ ამაგრებდენ შიგ და გამოცდილი კოლუმბიც რის ვაივაგლახით ახერხებდა, რომ არ ჩაიტანა მისი მიზანი. თვითონ კოლუმბი ავად გახდა; მისი მხლებელი მეზღვაურები კი ძლიერ უქმაყოფილონი იყვნენ, რომ ის დაუინებით ეძებდა ინდოეთში გავასალ გზას და არა „ოქროს ქვეყანას“, ამბოხება მოახლოვებული იყო. ყოველივე ამან

კოლუმბი აიძულა უკან დაბრუნებულიყო დეკემბრის ხუთს. როცა კუნძულ იამაიკას მიუახლოვდენ, ატყდა ღელვა და იძულებული გახდენ ნაპირს მიღვომოდენ. პირველად მცხოვრებლებმა კარგად შეხვდენ უცხოელებს, მაგრამ შემდეგ აღარ მოეწონათ ისინი და უარი უთხრეს სურსათის მიცემაზე. მოსალოდნელი იყო სიმშილი. ერთად-ერთი იმედი იყო სურსათის მიღება ისპანიოლადან. წავიდა ორი მეზღვაური ნაეით და მშვიდობითაც მიაღწია კუნძულს, მაგრამ შურიანი ოვანდო განგებ აგვიანებდა დახმარების გაგზავნას. შეიქნა საშიში მდგომარეობა. ნაწილი კოლუმბის მეზღვაურებისა აჯანყდა, მაგრამ ბართლომემ დააწყნარა ისინი და დაიჭირა მოთავენი.

ამასობაში კოლუმბის გასაჭირის ამბავმა მიაღწია სანდომინგომდე და ისე ააღელვა კოლონისტები, რომ ოვანდო იძულებული გახდა გაეგზავნა დახმარება ამრიგად მთელი ერთი წლის სიმშილობისა და ტანჯვა-წვალების შემდეგ კოლუმბი მივიდა სან-დომინგოში. ერთხანს ის მძიმე ავად იყო. შემდეგ მოიკეთა, გაუდგა ისპანიისაკენ და მიაღწია თავის სამშობლოს 1504 წლის ნოემბრის 9-ს.

არც აქ დახვდა კოლუმბს კარგი ამბავი: მისი მფარველი და მოსარჩელე დედოფალი იზაბელა გარდაცვლილიყო. დაავადმყოფებულ კოლუმბს ცხოვრების არავითარი სახსარი არ გააჩნდა და სოხოვა მეფეს — აღედგინა ის მისივე აღმოჩენილი ქვეყნების მმართველად, მაგრამ უარი მიიღო.

ამდენ გაჭივრებისა და უსამართლობისაგან დაუძლურებული კოლუმბი გარდაიცვალა 1506 წლის მაისის ხუთს

ვალიადოლიდაში და იქვე დაასაფლავეს, მაგრამ 1513 წელზე  
მისი ნეშთი გადაასვენეს სევილიაში; 1536 წ. წაიღეს რს-  
პანიოლაში და ძვირფასი კუბოთი მოათავსეს ქალაქ სან-  
დომინგოს ტაძარში. 1795 წელს ისპანიოლა გადვიდა  
საფრანგეთის ხელში და კოლუმბის ნეშტიც გადაიტანეს  
კუნძულ კუბაზე და დიდი ამბით დაასვენეს ქალაქ ჰავანის  
ტაძარში. 1897 წ. კუბა გადვიდა ჩრდილოეთ-ამერიკის  
შეერთებულ შტატების ხელში და კოლუმბის კუბო ისევ  
იტალიაში გადმოიტანეს და მოათავსეს სევილის ტაძარ-  
ში. მართლაც რომ საკვირველი იყო ამ კაცის ბედი:  
არამც თუ სიცოცხლეში, სიკვდილის შემდეგაც ამდენი  
იმოგზავრა.

კოლუმბის სახელს არას დროს არ დაივიწყებს კაცობ-  
რიობა, მაგრამ საწყენია, რომ მის მიერ აღმოჩენილ ქვე-  
ყანას დაერქვა არა მისი სახელი, არამედ ამერიკო ვეს-  
პუჩისა, რამელმაც მონაწილეობა მიიღო კოლუმბის მესა-  
მე ექსპედიციაში. მან აღწერა ამერიკაში მოგზაურობა და  
გამოაქვეყნა 1507 წელს. ამ წიგნში ამერიკო ამბობს, რომ  
მან კოლუმბზე აღრე, 1497 წელს, ნახა ამერიკა, რაც არ  
არის მართალი.

## დაგატება.

ეს წიგნაკი აწყობილი და გვერდებად შეკრული იყო, როცა ტფილისში მოვიდა ახალი გამოკვლევა კოლუმბის შესახებ: „Разоблаченный Колумб”. წიგნის ავტორია ვინ-მე მარიუს ანდრე. რუსული თარგმანი გამოცემულია მოსკოვში „Зиф”-ის მიერ 1927 წ.

ეს მეტისმეტად ტენდენციური გამოკვლევა მიმართულია კოლუმბის წინააღმდეგ. ავტორი ყოველნაირად ცდილობს გამოაშკარავოს და დაამციროს კოლუმბი, მაგრამ ამ მის-წრაფებაში ააშკარავობს თავის საკუთარ ულოლიკობას და უსაფუძვლობას. პირდაპირ გაუგებარია -- რამ გააბოროტა ასე კოლუმბზე თანამედროვე ადამიანი?

ავტორი ამბობს, რომ კოლუმბი იყო უვიცი, არაუერი გაეგებოდა ზღვაოსნობის და მისი მხრით ავანტიურა და თავხედობა იყო საზღვაო ექსპედიციის სათავეში ჩადგომა. მას არ შეეძლო ზღვაზე გზის გაკვლევა, აუარებელი შეც-დომები ჩაიდინა, რასაც ბევრი მსხვერპლი მოჰყვა-ამავე დროს არ მალავს, რომ კოლუმბმა ერთ წელიწადში შეის-წავლა ლათინური და გატაცებით კითხულობდა და საწავ-ლობდა საჭირო წიგნებს.

ანდრე ამტკიცებს, რომ კოლუმბი დიდი მატყუარა იყო. მან ოთხჯერ იმოგზავრა თავის აღმოჩენილ ქვნებში და

არამც თუ დაპირებული ოქროს მთები არ მოუტანა ვაჭ-  
რებს, რომელიც მან შეაციიანა და ფულები გააღებია  
ამ საქმეზე, — ექსპედიციის ხარჯებიც ვერ დაფარაო.

ჩვენ ვიცით, რამდენი დრო და ენერგია დახარჯა კო-  
ლუმბმა, ვის არ მიმართა, რამდენი დაბრკოლება დასძლია,  
რომ თავისი დიდი მიზნისათვის — ინდოეთში პირდაპირი  
გზის აღმოჩენისათვის მიეღწია. პირდაპირ განსაცვიფრე-  
ბელია ამ ადამიანის სიმტკიცე, შეურჩეველი ნებისყოფა  
და თავგანწირვა დასახული მიზნისათვის.

უმცველია, ამისათვის კოლუმბი მრავალნაირ ხერხს მი-  
მართავდა და გადაჭარბებასაც, თუმცა ცხადია, რომ თვი-  
თონაც დარწმუნებული იყო ინდოეთის საზღაპრო სიმდი-  
დრეში. ამაზე მაშინ ხომ ყველანი ლაპარაკობდენ. მაგრამ  
ისტორიულად კოლუმბი არ შემცდარა და არც მოუტყუი-  
ლებია ვინმე. მისმა აღმოჩენამ მართლადაც მისცა ევრო-  
პას აუარებები ოქრო და მუშა ხელი, რამაც ისე სწრაფად  
წასწია წინ ევროპაში კაპიტალიზმის განვითარება. მან  
დიდი სამსახური გაუწია ახალად ჩასახულ, აღმავალ ბურ-  
ჟუაზიას და ამით დიდი პროგრესიული და რევოლუციო-  
ნური როლი შეასრულა.

ასეთივე მტრული და აშეარა ტენდენციურია ანდრეს  
მიერ კოლუმბის წინააღმდეგ წამოყენებული ყველა ბრალ-  
დებანი, რომელთა აქ ჩამოთვლას და გარჩევას აზრი არა  
აქვს.

საჭიროდ მიგვაჩნია აღნიშნოთ მხოლოდ ერთი რამ.  
მეითხველისათვის, აღბად, გაუგებარი დარჩა ის-გარემოება

რომ კოლუმბი არავითარ ზომებს არ ღებულობდა „პინტას“ კაპიტანის, პინცონის წინააღმდეგ, რომელიც მას აშკარად არ ემორჩილებოდა. საქმე იმაშია, რომ, როგორც ანდრე ამბობს და ამას სხვა ცნობებიც ადასტურებს, პარველი ექსპედიციის ხარჯები გაულია არა მარტო იზაბელას, არამედ ქალაქ პალოს და იქაურ ვაჭრებს. მათ იძულებით ჩამოართვეს ხომალდები კოლუმბისათვის. სამი ხომალდი, რომლებისგანაც პირველი ექსპედიცია შესდგებოდა, ეკუთვნოდა შეძლებულ ვაჭრებს, ძმებს პინცონებს, რომელთაგან ყველაზე გავლენიანი ყოფილა მარტინ პინცონი. ამ ხომალდებიდან „პინტა“ იძულებით დაათმობიეს კოლუმბისთვის, მაგრამ დანარჩენი ორი ისევე იძულებით დათმობილი ხომალდები, არ ყოფილა მაინცა და მაინც საიმედო და, რა კი თვითონ პინცონებს გადაუწყვეტიათ ექსპედიციაში მონაწილეობის მიღება, ბარემ საკუთარი ხომალდებით გამგზავრებულან. როგორც ვიცით, „პინტას“ ხელმძღვანელობდა ორი ძმა პინცონები, ისინი იყვენ საკუთარი ხომალდის უფროსაბად და ამით აიხსნება, როგორც მათი უჩჩიბა, ისე კოლუმბის უძლურობა მათ დასამორჩილებლად.

ცოტა რამ ამერიგო ვესპუჩის შესახებაც. არსებობს აზრი და ანდრე გადაჭრით ამბობს, რომ ვესპუჩიმ კოლუმბზე ერთი წლით ადრე, ე. ი. 1497 წელს აღმოაჩინა ამერიკა. ენციკლოპედიაში შემდეგი ცნობებია ამერიგო სესპუჩის შესახებ. ის დაბადებულა ფლორენციაში 1451 წ. გარდაცვლილა 1512 წ. პირველად მსახურობდა ბანკში,



აქ დაახლოვებია მეზღვაურ-გაჭრებს. პირველად გამგზავ-  
რებულა ვენეცუელაში 1499 წელს, (ე. ი. ერთი წლის შემ-  
დეგ, რაც ის კოლუმბმა აღმოაჩინა), მაგრამ ვერ მიუღ-  
წევია ვენეცუელამდე და უკან დაბრუნებულა. იმავე წელს  
გამგზავრებულა ბრაზილიაში და დაბრუნებულა 1500 წელს  
კარგი მეზღვაურის სახელით. შემდეგ გადადის პორტუ-  
გალის სამსახურში, ორჯერ მიემგზავრება ამერიკაში,  
მაგრამ მეორე მოგზაურობის დროს ვერაფერი აღმოაჩინა  
და სახელი გაუტყდა. კოლუმბის რეკომენდაციით მიიწ-  
ვიეს ისპანიაში.

1503 წელს ვესპუჩიმ გამოსცა თავის მესამე მოგზაუ-  
რობის აღწერა. ამან და აგრეთვე წერილებმა გზიდან სა-  
ხელი გაუთქვეს მას. მისი ნაწერები ერთ წიგნად გამოსცა  
ვალძემიულერმა 1507 წელს. ეს წიგნი გადაითარგმნა  
სხვადასხვა ენებზე. ყოველივე ამან ძლიერ გაუთქვა სა-  
ხელი ახალ ქვეყანას, რომელიც დაუკავშირდა ამერიკოს  
სახელს. ვესპუჩის ნაწერების გამომცემელმა, მარტინ ვალ-  
ძემიულერმა, თავის „კოსმოგრაფიის შესავალში“ წამოა-  
ყნა წინადადება, რომ ახალ აღმოჩენილ ქვეყანას ეწო-  
დოს ამერიკოს სახელი, რასაც თანაგრძნობით შეხვდენ.  
1507 წ. ვალძემიულერმა გამოსცა მსოფლიოს ქარტა და  
ახალი ქვეყანა აღნიშნა ამერიკოს სახელით. მაგრამ სა-  
ბოლოოდ მარტო ამერიკა სახელად შერჩა ახალ ქვეყანას  
შეოლოდ მე-XVII საუკუნიდან.

ეხლა ორიოდე სიტყვა ისევ ამერიკის აღმოჩენის და-  
ტის შესახებ. წინასიტყვაობაში გაკვრით აღვნიშნეთ და

ანდრეს გამოკვლევა კი, რომელიც ემყარება პირველ წყაროებს — თვით კოლუმბის დღიურს და იმ დრო-ინდელ ქრონიკებს — კიდევ უფრო გვარწმუნებს, რომ კოლუმბმა ამერიკას მიაღწია 1498 წელს, 5 ოგვის-ტოს. მართალია ანდრე ყოველნაირად ცდილობს კო-ლუმბის გაშავებას და ტენდენციურად აშუქებს ფაქ-ტებს, მაგრამ არა მგონია, რომ ყალბი დატა მოეყვანოს. ბრიჯესის და ანდრეს დატები ერთნაირია და ამიტომ სწორედ ეს დატები უნდა მივიღოთ.

### პ. ჭანიშვილი.

